ხელშეკრულება №35

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 23 დეკემბერი 2020 წ.

ერთის მხრივ, სსიპ - ქალაქ თბილისის N72 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მ.შ.-ს მანანა კიკაჩეიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს ბილდინგი (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორის, ნატო გოგოლაძის სახით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია სხვადასხვა სახის დამხმარე სამშენებლო მასალისა და სხვა საგნების (CPV 39200000; 39500000; 44100000; 44500000) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 224.30 (ორასოცდაოთხი ლარი და 30 თეთრი) ლარს; მათ შორის: CPV 39200000 – 5.00 (ხუთი) ლარს, CPV 39500000 – 25.00 (ოცდახუთი) ლარს; CPV 44100000 – 181.80 (ასოთხმოცდაერთი ლარი და 80 თეთრი) ლარს; CPV 44500000 – 12.50 (თორმეტი ლარი და 50 თეთრი) ლარს;

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან **10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.**

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. საქონლის მიწოდების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი.

4.2. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს არა უგვიანეს 2020 წლის 30 დეკემბრისა.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

5.6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ ქალაქ თბილისის N72 საჯარო სკოლის დირექტორის მ.შ., მანანა კიკაჩეიშვილი.

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1 ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

6.2. შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის გადასახდელი თანხის 0.02 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

6.3. მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას გადაუხადოს პირგასამტეხლოს სახით საქონლის მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში დაგვიანებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0.02 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

6.4. ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 10.0 პროცენტის ოდენობით.

6.5. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო თანხის 20.0 პროცენტის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2021 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ - ქალაქ თბილისის №72 საჯარო სკოლა ს/კ 204 422 696 მის: ქ. თბილისი, გორგასალის ქ.N2 ტელ: 2 72 35 74; 2 75 35 60 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი LBRTGE22 ა/ა GE31LB0121180433930000 **დირექტორის მ. შ. მანანა კიკაჩეიშვილი** _____ (ხელმოწერა)	შპს ბილდინგი ს/კ 400231263 მის.: თბილისი, გორგასლის 10 ტელ.: საბანკო რეკვიზიტები: ს/ს საქართველოს ბანკი ბანკის კოდი: BAGAGE22 ა/ა GE30BG0000000100952341 **დირექტორი: ნატო გოგოლაძე** _____ (ხელმოწერა)

დანართი N1 ხელშეკრულების საგნის აღწერა

N	CPV	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ თანხა
1	39525810	7082 - აზურ- მიკროფიბრის ტილოზომა 50x60 ყუთში 100 ცალა	ცალი	2	5.50	11.00
2	39525800	იატაკის ტილი60*80 (650ც)	ცალი	2	7.00	14.00
3	44111400	თუთრი A ემ.ალკ ПФ-115 2.6კგ	ცალი	1	25.00	25.00
4	44111400	შავი მქრქალი A ემ.ალკ ПФ-115 0,8 კგ	ცალი	1	10.00	10.00
5	44511000	3320 ელექტროჩანგალი	ცალი	1	2.00	2.00
6	44100000	ცელოფნის ფირი	მეტრი	40	2.00	80.00
7	44100000	აბაზანის ჯიხი 90*90 107	შეკვრა	1	16.00	16.00
8	44100000	მეტალის ფრანგი 180*200	ცალი	1	14.00	14.00
9	44111400	ПФ115-ემალის საღებავი "კომფორტი" თეთრი -0.8კგ	ცალი	1	6.50	6.50
10	44111400	ПФ115-ემალის საღებავი "კომფორტი" ლურჯი -0.8კგ	ცალი	1	7.50	7.50
11	39224210	TOL1437-40134 სამღებროფუნჯი INDUSTRIAL 2.5"	ცალი	1	5.00	5.00
12	44100000	ჭიკარტი	ცალი	30	0.02	0.60
13	44522400	კარის საკეტის გულინა KLASIK 70MM	ცალი	1	10.50	10.50
14	44100000	ცელოფნის ფირი	მეტრი	7	2.00	14.00
15	44111200	წებოცემენტი ECOFIX 25კგ.-იანი ტომარა ECONOM	ცალი	1	8.20	8.20
		სულ				224.30

შემსყიდველი:
სსიპ - ქალაქ თბილისის №72 საჯარო
სკოლის დირექტორის მ. შ. /მანანა კიკაჩეიშვილი/

მიმწოდებელი:
შპს ბილდინგის
დირექტორი: /ნატო გოგოლაძე/

მიღება–ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი 23 დეკემბერი 2020 წ.

ერთის მხრივ, სსიპ - ქალაქ თბილისის N72 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მ.შ.-ს მანანა კიკაჩეიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს ბილდინგი (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორის, ნატო გოგოლაძის სახით ვადგენთ წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ რომ მიმწოდებელმა მიაწოდა ხოლო მიმღებმა მიიღო მხარეებს შორის გაფორმებული გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების (N35 23.12.2020 წ.) თანახმად საქონელი საერთო ღირებულებით 224.30 (ორასოცდოთხი ლარი და 30 თეთრი) ლარი ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

N	CPV	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ თანხა
1	39525810	7082 - აზურ- მიკროფიბრის ტილოზომა 50x60 ყუთში 100 ცალია	ცალი	2	5.50	11.00
2	39525800	იატაკის ტილო60*80 (650ც)	ცალი	2	7.00	14.00
3	44111400	თეთრი A ემ.ალკ ПФ-115 2.6კგ	ცალი	1	25.00	25.00
4	44111400	შავი მქრქალი A ემ.ალკ ПФ-115 0,8 კგ	ცალი	1	10.00	10.00
5	44511000	3320 ელექტროჩანგალი	ცალი	1	2.00	2.00
6	44100000	ცელოფნის ფირი	მეტრი	40	2.00	80.00
7	44100000	აბაზანის ჯიხი 90*90 107	შეკვრა	1	16.00	16.00
8	44100000	მეტალის ფრანგი 180*200	ცალი	1	14.00	14.00
9	44111400	ПФ115-ემალის საღებავი "კომფორტი" თეთრი -0.8კგ	ცალი	1	6.50	6.50
10	44111400	ПФ115-ემალის საღებავი "კომფორტი" ლურჯი -0.8კგ	ცალი	1	7.50	7.50
11	39224210	TOL1437-40134 სამღებროფუნჯი INDUSTRIAL 2.5"	ცალი	1	5.00	5.00
12	44100000	ჭიკარტი	ცალი	30	0.02	0.60
13	44522400	კარის საკეტის გულინა KLASIK 70MM	ცალი	1	10.50	10.50
14	44100000	ცელოფნის ფირი	მეტრი	7	2.00	14.00

15	44111200	წებოცემენტი ECOFIX 25კგ.-იანი ტომარა ECONOM	ცალი	1	8.20	8.20
		სულ				224.30

აქტი შედგენილია ორ ეგზემპლიარად, აქტის სისწორეს ორივე მხარე ვადასტურებთ ხელის მოწერით:

შემსყიდველი:

სსიპ - ქალაქ თბილისის №72 საჯარო
სკოლის დირექტორის მ. შ. /მანანა კიკაჩეიშვილი/

მიმწოდებელი:

შპს ბილდინგის
დირექტორი: /ნატო გოგოლაძე/